821.111
ჩ79

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ჩომახიძე

პიროვნების გაუცხოების პრობლემა აირის მერდოკის შემოქმედებაში

10. 01. 05 – ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
მანანა გელაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ეთერ თოფურიძე (10. 01. 05)

2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ეთერ კირცხალია (10. 01. 05)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის „8“ „დეკემბერს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს (p. 10. 06. №8) სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის №36, აუდ. №48

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
მისამართი: უნივესიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა: „8“ „ნოემბერს“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი /რ. ციხითათრიშვილი/

2138

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება აირის მერდოკის შემოქმედებას. ივი მე-20 საუკუნის ინგლისური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლის შემოქმედება 4 ათეულ წელზე მეტია მკითხველისა და კრიტიკოსების ყურადღებას იპყრობს. მერდოკის ნაწარმოებების მთავარ თემას წარმოადგენს პიროვნების გაუცხოება თანამედროვე საზოგადოებაში, რომელსაც ივი ფილოსოფიური, ესთეტიკური და ეთიკური კუთხიდან განიხილავს. მისი რომანების მიხედვით, ჩვენს საუკუნეში თითოეული ადამიანი ადრე თუ გვიან გარდაუვალად დგება ეგზისტენციური პრობლემების წინაშე, რომლის დაძლევაც მხოლოდ სულიერი კათარზისის შემდეგაა შესაძლებელი, რაც თავის მხრივ ეგოცენტრიზმისგან გათავისუფლებასა და უპირველეს ფასეულობად სიკეთის აღიარებას გულისხმობს.

მოცემული სადისერტაციო ნაშრომის მიზანია მერდოკის რომანებში წარმოდგენილი პიროვნების გაუცხოების, მისი წინაპირობისა და დაძლევის კვლევა. ამ მიზნით ნაშრომში შესწავლილია რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები - „ბადის ქვეშ“ (1956), „ველური ვარდი“ (1962), „შავი პრინცი“ (1973), „ზღვა, ზღვა“ (1975) როგორც უკვე აღვნიშნეთ, მერდოკის ნაწარმოებების ძირითად თემას წარმოადგენს თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციური პრობლემები, რომელსაც ავტორი სხვადასხვა კუთხიდან განიხილავს, ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ყურადღების ამ საკითხზე გამახვილება.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს როგორც მერდოკის მიერ დასმული პრობლემების აქტუალობა, ასევე გამოხატვის ფორმა. თავის შემოქმედებაში მერდოკი განიხილავს ჩვენი დროისთვის ყველაზე აქტუალურ თემას – პიროვნების გაუცხოებასა და ადამიანის ეგზისტენციურ კრიზისს თანამედროვე სამყაროში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრება თანამედროვე მწერლებისთვის ახალი დროისა და ახალი სამყაროს ერთგვარ ზღურბლად იქცა. ისინი შეშფოთებულები იყვნენ ტრადიციული ფასეულობების დაკარგვით და იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ რომ გრძელდებოდა ძველი იდეოლოგიების რღვევა, რომელიც უკვე საუკუნის დასაწყისში შეიმჩნეოდა. ბევრი მწერალი აცხადებდა, რომ ოსვენციმისა და ხიროსიმას შემდეგ შეუძლებელი გახდა ძველი იდეების ქადაგება, განვითარებადი სამყაროს მდგრადობისა და მუდმივი პროგრესის დადასტურება. ომისშემდგომმა ყოფამ წარმოშვა შეგრძნება, რომ [illegible] სამყარო [illegible] სიული და არაჰუმანური გახდა. ამ პროცესების გააზრების შედეგად მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში სულ უფრო და უფრო უსვამენ [illegible] ადამიანის გაუცხოებულ ყოფას თანამედროვე სამყაროში.

ILIA CHAVCHAVADZE STATE UNIVERSITY